თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №18

30 მარტი, 2018 წელი

ქ. თეთრიწყარო

„თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირებისა და სტრუქტურული ერთეულებისათვის საწვავისა და სატელეფონო ხარჯების ყოველთვიური ლიმიტების განსაზღვრის შესახებ“ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის N107 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63 -ე მუხლის საფუძველზე

მუხლი 1.

შეტანილი იქნეს ცვლილება ,,თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირებისა და სტრუქტურული ერთეულებისათვის საწვავისა და სატელეფონო ხარჯების ყოველთვიური ლიმიტების განსაზღვრის შესახებ“ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის N107 განკარგულების პირველ მუხლში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1.

განისაზღვროს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირებისა და სტრუქტურული ერთეულებისათვის საწვავის ხარჯების ყოველთვიური ლიმიტები შემდეგი ოდენობით:

- მერი - 700 ლიტრი;
- პირველი მოადგილე - 400 ლიტრი;
- მოადგილე - 350 ლიტრი;
- მოადგილე - 350 ლიტრი;
- ადმინისტრაციული სამსახური - 500 ლიტრი;
- ზედამხედველობის სამსახური - 500 ლიტრი;
- ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურის და მშენებლობის სამსახური - 350 ლიტრი;
- სამხედრო აღრიცხვის სამსახური - 350 ლიტრი;
- მერის წარმომადგენლები - 1000 ლიტრი;
- თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციულ შენობაში, დაბა მანგლისისა და სოფელ კოდის საზოგადოებრივი ცენტრების (სოფლის სახლების) შენობებში უწყვეტი ელექტროენერგიის მომარაგების უზრუნველსაყოფად 200 ლიტრი (დიზელის საწვავი);
- თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის სტიქიური მოვლენების შედეგების შემსწავლელი და სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის აღმრიცხველი მუდმივმოქმედი კომისია-150 ლიტრი.“

მუხლი 2.

განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე

მუხლი 3.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ.თეთრიწყარო, კოსტავას ქ. N11) საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის შესაბამისად, მისი მიღებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

გოჩა თედორაძე
საკრებულოს თავმჯდომარე

TETRITSKARO MUNICIPALITY SAKREBULO * 230869254 *